# ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

## საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოსა

## და

## ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს ადამიანური და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების (HICD ) პროექტს

## შორის

ქ. თბილისი, საქართველო, 2021

წარმოდგენილი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი (შემდგომში „მემორანდუმი“) დადებულია 2021 წლის 25 მარტს შემდეგ მხარეებს შორის:

ერთი მხრივ, **საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოს** და მეორე მხრივ, **ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს ადამიანური და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების (HICD) პროექტს** (შემდგომში ერთობლივად მოხსენიებული, როგორც „მხარეები” და ცალ-ცალკე „მხარე“) შორის.

**მუხლი 1**

წინამდებარე მემორანდუმის მიზანია მხარეებმა ითანამშრომლონ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს ინსტიტუციური შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით.

**მუხლი 2**

ორმხრივად შეთანხმებულია, რომ:

მემორანდუმის ხელმოწერის შემდეგ, ადამიანური და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების (HICD) პროექტი თანახმაა, სააგენტოსთან ითანამშრომლოს, რათა ერთობლივად იქნეს შემუშავებული სააგენტოს:

- გრძელვადიანი ორგანიზაციული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა;
- პიარისა და კომუნიკაციის სტრატეგია.

მემორანდუმის ხელმოწერის შემდეგ, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო თანახმაა:

- გამოყოს თანამშრომლები, რომლებიც იმუშავებენ HICD პროექტის წარმომადგენლებთან როგორც კოორდინატორები მთელი პროგრამის განმავლობაში;
- მიაწოდოს HICD-ის თანამშრომლებს და ექსპერტებს ყველა საჭირო დოკუმენტი და ინფორმაცია;
- უზრუნველყოს საოფისე ფართი ტრენინგების, სემინარების და შეხვედრების ჩასატარებლად;
- უზრუნველყოს შესაბამისი თანამშრომლების მონაწილეობა შეხვედრებში, სემინარებსა და გასაუბრებებში, რომლებსაც საჭიროების შემთხვევაში მოამზადებენ და ჩაატარებენ HICD-ის წარმომადგენლები და ექსპერტები;
- უზრუნველყოს რეკომენდაციების თანმიმდევრული დანერგვა/განხორციელება;
- ვირტუალურად შეხვდეს HICD-ის და USAID-ის წარმომადგენლებს პროგრამის დამთავრებიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ, წინასწარ შეთანხმებულ დროს, რათა განიხილონ პროგრამის აქტივობების შედეგად მიღწეული პროგრესი. ასევე, გაუზიაროს HICD-ის და USAID-ის წარმომადგენლებს ყველა ის ინფორმაცია, რომელიც ასახავს პროგრამის შედეგად მიღწეულ წარმატებებს.

## მუხლი 3

ეს შეთანხმება არ არის სამართლებრივი ძალის მქონე და არ აკისრებს მხარეებს რაიმე ვალდებულებებს და მოვალეობებს კანონის შესაბამისად.

შეთანხმება ძალაში შედის ორივე მხარის მიერ ხელმოწერისთანავე. ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე მემორანდუმი, 30 დღით ადრე, მეორე მხარისათვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

მხარეები რეგულარულად შეისწავლიან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის დებულებების ეფექტურობას და მიიღებენ შესაბამის ზომებს თანამშრომლობის ეფექტიანობის ზრდისთვის და მის გასაღრმავებლად.

ხელმოწერილია ქალაქ თბილისში, 2021 წლის 25 მარტს, ინგლისურ და ქართულ ენებზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლიარად.

ქართულ და ინგლისურ ენაზე გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის განსხვავებული განმარტების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ინგლისურ ენაზე შედგენილ ტექსტს.

| | |
|---|---|
| **საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო** | **ადამიანური და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების (HICD) პროექტი** |
| ირაკლი ლექვინაძე<br>თავმჯდომარე | რომან ცუცქირიძე<br>დირექტორი |